



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ეკალიჩი



ეკალიჩი ეკლიანი
ღერო ნაყოფით

ეკალიჩი (*Smilax excelsa*), მხოხავი ბუჩქი შროშანისებრთა ოჯახისა. სიმაღლე 10–15 (20) მ აღწევს. მის გრძელ მცოცავ ღეროებს მაგარი მჩხვლეთავი ეკლები აქვს, ფოთლის ყუნწს კი – ძირში ორი მოწითალო ან მწვანე უღვაში, რითაც საყრდენს ეხვევა. მომწვანო წვრილი ყვავილები მტევნისებრ ქოლგა ყვავილედებშია თავმოყრილი. ნაყოფი წითელი კენკრაა. იზრდება კავკასიაში, ხმელთაშუაზღვისპირეთში, მცირე აზიასა და ირანში. ფართოდ არის გავრცელებული საქართვე. დაბლობისა და ჭალის ტყეებში; ხეებზე ძალიან მაღლა ადის და ისე იხლართება, რომ ტყე ხშირად გაუვალი ხდება. როგორც სარეველა, იშვიათად გვხვდება ჩაის პლანტაციებშიც. მის ნორჩ ყლორტებს საჭმელად იყენებენ, ხოლო ფოთლებს – ხალხ. მედიცინაში. დეკორატიულია,

განსაკუთრებით ლამაზია შემოდგომაზე, როცა ნაყოფი წითლდება.
